დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109. 109230176**
თარიღი:**17/01/2023**

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს „ენ ბი ჯი“ ჯგუფს შორის დადებული 2020 წლის 19 მარტის N4 ნასყიდობის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებისგან შპს „ენ ბი ჯი ჯგუფი“-ს ნაწილობივ გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შპს „ენ ბი ჯი ჯგუფი“ (ს/კ 405359516) ნაწილობრივ გათავისუფლდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული 2020 წლის 19 მარტის N4 ნასყიდობის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებისაგან მის მიერ 2020 წელს წარმოდგენილი და მერიასთან შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ნაწილში.

2. ეს განკარგულება გავლენას არ ახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ენ ბი ჯი ჯგუფი“ (ს/კ 405359516) შორის გაფორმებული 2020 წლის 19 მარტის N4 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ენ ბი ჯი ჯგუფი“-ს მიერ ნაკისრ სხვა ვალდებულებებზე.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი